უნივერსსიტეტის საკრალური იდეა
ინტერვიუ პროფესორ ზურაბ კიკნაძესთან

ქართული უნივერსიტეტი და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ერთ – 1918 წელს – შეიქმნა. განსხვავება იმაშია, რომ, თუ საქართველს დამოუკიდებლობა, როგორც ამბობენ, "ციდან ჩამოუვარდა", უნივერსიტეტი უკომპრომისო ჭიდილის, წინააღმდეგობათა გადალახვის და პატრიოტული ძალისხმევის წარმატებული შედეგი იყო.. მას შემდეგ 80 წელი გავიდა. დღეს უნივერსიტეტის პრესტიჟი იმ ადამიანთა მხრებზე დგას, რომლებმაც სათუთად მოინახეს უნივერსიტეტის საკრალური იდეა.. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ბატონი **ზურაბ კიკნაძეა**.

– უნივერსიტეტმა, დაარსების დღიდან, არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ – ეროვნული სულის შენარჩუნების ფუნქცია იტვირთა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი საბჭოთა პერიოდში ვერ ასცდა იდეოლოგიზირებულ არსებობას, იგი შინაგანად, ფარულად ატარებდა დისიდენტურ სულისკვეთებას (ამის დასტურია ის, რომ თითქმის ყველა ეროვნული საქმე უნივერსიტეტში პოულობს თავშესაფარს). დღეს, როდესაც საქართველო – ფორმალურად მაინც – დამოუკიდებელი ქვეყანაა, დარჩა თუ არა უნივერსიტეტს ზესაგანმანათლებლის ფუნქცია?

– უნივერსიტეტისაქართველოში ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ყველა უნივერსიტეტი დედამიწის ზურგზე. "უნივერსიტას" ერთობლიობას ნიშნავს, სწორედ ეს იდეა არის ჩადებული უნივერსიტეტში, კერძოდ, იგულისხმება კავშირი მოძღვართა (მასწავლებელთა) და მათ შორის, ვინც ამ მოძღვართა მეთვალყურეობის ქვეშ გადის წვრთნას (სწავლა-განათლებას). მასწავლებელი და მოსწავლე გაერთიანებულნი არიან უნივერსიტეტის ეგიდის ქვეშ. აქ ორმხრივი მოწოდებაა: მასწავლებელი მოწოდებულია, რომ ასწავლოს, ხოლო მოსწავლე (სტუდენტი) მოწოდებულია, რომ ისწავლოს. უნივერსიტეტი ამ პრინციპზეა აგებული. ეს არის თანასწორი ურთიერთობა: პროფესორი ცალკე, სტუდენტის გარეშე არ არსებობს და, პირიქით. ეს ურთიერთობა დიდ პასუხისმგებლობას ატარებს. სტუდენტი როდესაც უნივერსიტეტში შემოდის, მან აუცილებლად რაღაც უნდა შემოიტანოს, ხოლო აქ ყოფნის განმავლობაში მას რაღაც უნდა ემატებოდეს.

ჩვენი უნივერსიტეტი მთელ საქართველოს ეკუთვნის, მან არ შეიძლება, ეროვნული სული არ შეინარჩუნოს, რადგან მთელი საქართველო ჰყავს შემოკრებილი. საქართველოს ყველა კუთხე უნივერსიტეტში ფოკუსირდება და ამ ერთიანობას ვერაფერი შემუსრავს. ცნობილია, რა დაემართა უნივერსიტეტს 70 წლის განმავლობაში: ჯერ ავტონომია წაართვეს, ერთხანს გაუქმებულიც იყო, უნივერსიტეტს ისეთი რექტორებიც ჰყოლია, რომლებიც რექტორობის ისტორიაში შესვლას არც იმსახურებენ. იყო დრო, როდესაც

უნივერსიტეტის საშუალებით ცუდი საქმეები კეთდებოდა – რეპრესიაში მოყვნენ არა მხოლოდ პროფესორები, არამედ – სტუდენტებიც, რომელი ერთი ჩამოვთვალო.. მათ მოწამეობრივი ცხორება ერგოთ წილად. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა გაუძლო ქარტეხილებს, მისი სული არ გატეხილა. შეიძლება ბევრი არა, მაგრამ უნივერსიტეტს ღირსეული რექტორები ნამდვილად ჰყავდა. თუნდაც ალექსანდრე ჯანელიძე, რომელიც პროფესიით ჰუმანიტარი არ ყოფილა, მაგრამ ჰუმანიტარი იყო მოწოდებით. მას სთხოვეს, რომ გაეუქმებინა ერთ-ერთი დისერტაციის ოქმი, მან ეს არ გააკეთა და გადადგა. ალექსანდრე ჯანელიძემ ჭეშმარიტებას არ უღალატა, რადგან მიაჩნდა, რომ უნივერსიტეტის დანიშნულება ჭეშმარიტების სამსახურია.. უნივერსიტეტში იყო კომკავშირი, პარტკომიც, მაგრამ სტუდენტებში ჯანსაღი სულიც ტრიალებდა, რადგან არსებობდა საკრალური კავშირი უნივერსიტეტის პირველ წლებთან, იმ იდეასთან, რამაც უნივერსიტეტი შექმნა..

დღევანდელ პროფესურას ასეთი მოწამეობრივი მისია არა აქვს. შეიძლება, არც უნდა ჰქონდეს. ახლა არ არის ისეთი დრო, რომ მას თავის გაწირვა მოუხდეს რაღაც ჭეშმარიტებისათვის. იქნებ თვით ჭეშმარიტების გრძნობაც დაჩლუნგდა..

სამწუხაროდ, დღეს არ არის ის დონე, რომელიც შეეფერება ნამდვილ უნივერსიტეტს.

– უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– როგორ გითხრათ.. ახლა ყველაფერი თარიღების მიხედვით კეთდება, ჩვენ ყველაფერს ვუკავშირებთ რაღაც ეროვნულ დღეს. ეს ზემოდან მოდის. მაგრამ თავად უნივერსიტეტს ხომ თავისი ინდივიდუალობა აქვს, მას თავისი დღე უნდა ჰქონდეს, რომელიც არ იქნება საერთო-ნაციონალური. არ შეიძლება, ყველაფერი გათქვიფო საერთო ეროვნულ დღესასწაულში. ჩვენ ვამბობთ, რომ უნივერსიტეტი დაარსდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, მაგრამ ამ ფაქტს არა აქვს კონკრეტული გამოხატულება. რატომ არ უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტი დავით აღმაშენებლის სახელობის? ჩვენ ამით უნივერსიტეტი დავაკნინეთ. უზარმაზარია იანე ჯავახიშვილის წვლილი, მაგრამ უნივესრიტეტი უფრო მეტია და დიდია, ვიდრე მისი დამაარსებელი. როდესაც უნივერსიტეტი არსდება რომელიმე წმიდანის დღეს, ეს წმიდანი უკვე მისი მფარველია.. უნივერსიტეტში რუსთაველის ბარელიეფია, რატომ? ჩვენთან რუსთაველის საყოველთაო ბუმია, ყველგან ხომ არ შეიძლება, რუსთაველი იყოს? უნივერსიტეტს კონკრეტული გამოხატულება უნდა ჰქონდეს.

– და მაინც, როგორ უნივერსიტეტში იმეშავებდა ზურაბ კიკნაძე ხინჯის გარეშე? რა იქნებოდა თქვენთვის სანიმუშო?

– იდეალურ შემთხვევაში, ჩემი ნება რომ იყოს, მეცნიერებათა აკადემიის მთელ ინსტიტუტებს (რომელთა რაოდენობა და კონტიგენტი გაუმართლებლად დიდია) უნივერსიტეტში შემოვიყვანდი. ინსტიტუტებში მყოფი მეცნიერ-მუშაკები მონასტრულ მუშაობას ეწევიან და არავითარი კონტაქტი არა აქვთ

ახალგაზრდობასთან, სასწავლო პროცესთან. მე ასეთი დევიზი მაქვს (ეს დევიზი ბიბლიის შემსწავლელ საზოგადოებას წავუმძღვარე): "სწავლებით ვსწავლობთ" ("დოკენდო დისციმუს"). სწავლების პროცესი ამდიდრებს მეცნიერებას, ეს არის სასინჯი ქვა. სულ სხვაა, როდესაც სახლი მოკალათებული შენთვის ფიქრობ და ნაფიქრი ქაღალდზე გადაგაქვს და სხვა, როდესაც გიხდება ამ აზრების სტუდენტისთვის გადაცემა. ეს უკვე განსხვავებული პასუხისმგებლობაა. აკადემიის ინსტიტუტები ინკორპორირებულ უნდა იქნას უნივერსიტეტში. ამით მეცნიერებაც წინ წაიწევს სწავლების დონეც. რამდენადაც ვიცი, განათლებულ ქვეყნებში ასეთი აკადემიური ინსტიტუტები არც არსებობს (შეიძლება არსებობდეს გასაიდუმლოებული სახით, ვთქვათ, ატომური ფიზიკის დარგში). როდესაც ინსტიტუტში ჰუმანიტარული პრობლემები მუშავდება, ისინი შემოწმებულ უნდა იქნას სასწავლო პროცესში როტაციული წესით: ყველა წამყვან უნივერსიტეტში ლექტორი ხუთ წელიწადში ერთხელ თავისუფლდება და მიდის სამოგზაუროდ (ამას "საბატიკალი" ეწოდება). თუ არ ვმოგზაურობ, ყოველ შემთხვევაში, სახლში დავჯდები და ჩემს კურსს ხელახლა გადავხარშავ, აღარ გავიმეორებ იმას, რასაც ხუთი წლის მანძილზე ვასწავლიდი. ხანდახან მრცხვენია, როდესაც ყოველ წელიწადს ერთსა და იმავეს ვლაპარაკობ. არა მაქვს მასალის გადახალისების დრო, რადგან ძალზე დატვირთული ვარ. დღევანდელი ლექტორი ძალიან დატვირთულია..

– წეღან თქვენ ავტონომია ახსენეთ, რომელიც უნივერსიტეტმა გასაბჭოების შემდეგ დაკარგა. მაინტერესებს თქვენი აზრი ინივერსიტეტის ავტონომიის შესახებ. რას უნდა გულისხმობდეს იგი: ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას, ფინანსურ დამოუკიდებლობას, სასწავლო-სამეცნიერო ად ადმინისტრაციული პროცესების მართვის დამოუკიდებლობას თუ სხვა რამეს? შესაბამისად, უნივერსიტეტის ავტონომია დღეს – ფიქციაა თუ რეალობა?

– ამას ბევრი მხარე და ასპექტი აქვს. მე ჩემი წარსული გამოცდილებიდან ვიტყვი: უნივერსიტეტში 1951 წელს მოვედი. ამ დროს ავტონომიაზე, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ჩემი ოცნება დაკავშირებული იყო იმ "პირველყოფილ" უნივერსიტეტთან, რომელიც კერძო პირებმა დააარსეს. მაშინ მას სახელმწიფოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, დამოუკიდებელი საქართველო არც არსებობდა. უნივერსიტეტის ავტონომიამ რამდენიმე თვით გაუსწრო დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებას. შემდეგ იგი სახელმწიფო დაწესებულება გახდა. მართალია, მენშევიკური მთავრობა მაინც და მაინც არ წყალობდა უნივერსიტეტს (იგი ბოლომედე ვერ ეგუებოდა სტუდენტთა თავისუფალ სულს), მაგრამ უნივერსიტეტმა ავტონომია შეინარჩუნა: იგი იდეოლოგიურ ზეწოლას არ განიცდიდა, არავის შეეძლო ეკარნახა პროფესორისთვის სალექციო კურსის შინაარსი, სასწავლო პროცესი თავისი იმანენტური კანონებით იმართებოდა.

გასაბჭოების შემდეგ უნივერსიტეტმა, ქართული სახელმწიფოს მსგავსად, დაკარგა დამოუკიდებლობა. წამოვიდა ინსტრუქციების ნიაღვარი, ინსტრუქციები ნებისმიერ სფეროს უკავშირდება, თვით სრულიად უმნიშვნელოსაც კი.. უნივერსიტეტი ტოტალურად იმართება გარედან..

დღეს უნივერსიტეტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია იმის გამო, რომ ავტონომიურია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი სახელმწიფოსგან აბსოლუტურად გამოყოფილია და სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება უნივერსიტეტის მიმართ. პირველ რიგში, ეს არის ფინანსური ვალდებულება. თუმცა, დაფინანსება არ უნდა იქცეს სასწავლო პროცესში, სამეცნიერო მუშაობაში ან, თუნდაც, ადმინისტრაციის ფორმირებაში ჩარევის პირობად. უნივერსიტეტმა თავად უნდა აირჩიოს სტრატეგიაც და ტაქტიკაც. თუ ეს არ შეუძლია, მაშინ მას არც არსებობის უფლება აქვს.

– იქნებ მიზანშეწონილია დეცენტრალიზაცია თვით უნივერსიტეტის მასშტაბითაც, თუნდაც ფაკულტეტების თვითმმართველობის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით?

–შესაძლებელია, არსებობდეს ავტონომიის ასეთი ფორმაც – უნივერსიტეტი, როგორც ერთგვარი კონფედერაციული სისტემა. ფაკულტეტებს ხომ თავისი ინდივიდუალობა და მუშაობის საკუთარი სტილი აქვს, მეთოდებიც განსხვავებულია და მიზნებიც. არ ვიცი, ასეთი გამოცდილება სადმე თუ არსებობს. იქნებ, ამ ტიპის ავტონოლიურობა არც იყოს არსებითი. ის დონე, რაც ამჟამად არსებობს, მისაღები და ასატანია. მე ვერ ვგრძნობ დაწოლას ვერსაიდან. იდეოლოგიური ზეწოლა, პრინციპში, არ არსებობს.

– საქართველოში მომრავლდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტები. ამის მიუხედავად, დღეს ხშირად გაისმის, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი – სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს. რა არის ეს – ტრადიციის გათვალისწინება, სიმბოლური აღიარება თუ რეალური შეფასება – საუნივერსიტეტო განათლების მოთხოვნებოდან გამომდინარე?

– რეალურად, ბევრი უნივერსიტეტი არსებობს, ასე ეწოდებათ, მაგრამ იდეის თვალსაზრისით, უნივერსიტეტი მაინც ერთია. ამას ვერაფერი შეცვლის. ეს იმ ავტორიტეტის წყალობაა, რომელიც უნივერსიტეტს დაარსების წლებში ჰქონდა. იგი ხომ ისტორიაში შევიდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის წინამორბედი. ათასი უნივერსიტეტი რომ შეიქმნას – ევროპული, ამერიკული ყაიდის, უკეთესი დაფინანსებით, მათ არ ექნებათ ტრადიცია, თანაც ისეთი, როგორიც ამ უნივერსიტეტს აქვს. ტრადიციის შექმნას დრო სჭირდება, დატვირთული და შინაარსიანი. უნივერსიტეტის შენობასაც კი თავისი უნიკალური ისტორია აქვს.. იგი წინასწარმეტყველურად აშენდა. შენობა გიმნაზიისთვის იგებოდა, ამხელა გიმნაზია თბილისს რად უნდოდა. ის ადამიანი, ვინც ამ შენობას ამ მასშტაბებით აშენებდა, არანორმალურად ჩათვალეს. ასე რომ, უნივერსიტეტის დაარსებაში

საიდუმლო მარხია, ეს საკრალური მოვლენაა. შეცდომა იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის უნივერსიტეტის დარქმევა. ეს პრეცედენტი არ უნდა შექმნილიყო. შემდეგ წამოვიდა "უნივერსიტეტები".. საქართველოში არის დავით აღმაშენებლის სახელობის ორი უნივერსიტეტი. რატომ? აღმაშენებლის სახელი მოიმარჯვეს, მაშინ, როდესაც მისი ხსენების დღეს ქართული უნივერსიტეტი დაარსდა.

– ბოლო წლებში საუნივერსიტეტო ცხოვრების რეფორმა იდეიდან რეალობად იქცა. რეფორმის ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას ფასიანი სწავლების შემოღება და სწავლების ორსაფეხურიანი სისტემა (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) წარმოადგენს. როგორ აფასებთ ამ ნაბიჯებს და, საერთოდ, როგორია რეფორმის შინაარსის მიმართ თქვენი დანმოკიდებულება?

– რეფორმა, ჯერჯერობით, რაც თქვენ თქვით, იმ მიმართულებით მიმდინარეობს. თუმცა, ფასიანი სწავლება, ვფიქრობ, უშუალოდ რეფორმას არ უკავშირდება. ვერ ვიტყოდი, რომ ფასიანი სწავლება რაღაც გადახვევა იყოს. პირიქით, ადრეც ვამბობდი, რომ სწავლაში, მართლაც, ფულს უნდა იხდიდნენ. ამ დროს პასუხისმგებლობა აშკარად მატულობს. სამწუხაროდ, ეს არ გაცნობიერდა. თავი იჩინა ჩვენმა კუდაბზიკობამ – ყველას უნდა განათლებული იყოს, უფრო სწორად, ფორმალური სტატუსის მქონე. ეს აღტყინება აუცილებლად გაივლის. ამას გარდა, რა დასამალია, ჩვენს პროფესურას უჭირს, სხვადასხვა კერძო სასწავლებლებში ასწავლის.. მთავარი მაინც ისაა, არის თუ არა უნივერსიტეტის პროფესურა მზად, სტუდენტთა მოძალებულ ნაკადს გაუძღვეს, ზოგჯერ ეს აუტანელია, არ ხერხდება..

რაც შეეხება ორსაფეხურიან სწავლებას, ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია ერთი რამ: ბაკალავრიატში, ფაქტიურად, სამი წელი სწავლობენ, მეოთხე წელს (განსაკუთრებით, მეორე სემესტრში) სასწავლო პროცესი ჩაშლილია. ეს მცირე დროა იმისათვის, რომ რაღაც ფუნდამენტური შეიძინო. განზრახულია, რომ მაგისტრატურაში ჯგუფის 30%-მა ისწავლოს. სავარაუდოა, ეს ის ნაწილია, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ცოდნა გაიღრმავოს, მაგრამ, ჯერჯერობით არ არის დახვეწილი არც პროგრამები, არც სალექციო კურსები, ცოტაა პროფესიული კადრებიც. არსებობს სალექციო კურსის გამეორების საშიშროება, ძალიან ძნელია, ამას თავი დააღწიო. უნდა გამოიცვალოს კათედრის შემადგენლობა, მუშაობის სტილი.. ვართ კი ამისთვის მზად?

ჩემი აზრით, ბაკალავრიატის ხანგრძლივობა ხუთი წელი უნდა იყოს, შემდეგ დაემატოს სამაგისტრო ორი წელი. სტუდენტმა დიდხანს უნდა ისწავლოს, 3-4 წელი სრულიადაც არ არის საკმარისი.

– თქვენი აზრით, რას უნდა გულისხმობდეს კიდევ რეფორმა?

– შევცვლიდი სწავლების ხასიათს, სალექციო ფორმას. როდესაც 20 წლის წინ უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა, მქონდა იდეა, რომ ჯგუფში შესულიყო ორი ლექტორი და მათ პარალელურად, კითხვა-პასუხის დიალოგური ფორმით, ჩაეტარებინათ ლექცია. ეს იდეა განხორციელდა: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, ესმინათ პროფესორთა დიალოგისთვის, რათა მათ შორის კამათი სტუდენტთა სამსჯავროდ ქცეულიყო. სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა, სრულიად ახალი და ცოცხალი, შეწყდა. ჩვენ ხომ მიჯაჭვულნი ვართ საათებს, სავალდებულ დატვირთვას რომ შეადგენს. არადა, ტრადიციული სალექციო ფორმა უკვე მოსაწყენია და არაეფექტურიც..

აუცილებლად ჩავატარებდი ატესტაციას. უნივერსიტეტში იყო ამის მცდელობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ლექტორთა შეფასებაში სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ბევრი ამან გააღიზიანა. ჩემი აზრით, შემდეგი ფორმაა მისაღები: რამდენიმე ლექტორმა უნდა გამოაქვეყნოს ერთი და იმავე საგნის ინივიდუალური, საავტორო გეგმა, დაწეროს ანოტაცია. სტუდენტს უნდა მიეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ერთი ნაწილი ერთს აირჩევს, მეორე – სხვას. ეს არის ჯანსაღი კონკურენცია. თუ სტუდენტი ვინმესთან არ მივა, ის უნდა წავიდეს უნივერსიტეტიდან, თავის დროს დაელოდოს, თავისი ადგილი მონახოს. ესა თუ ის დისციპლინარული კურსი ყოველთვის უნდა იყოს საავტორო. სტუდენტი უნდა გაბარებდეს იმას, რასაც ასწავლი, რისი სწავლებაც გინდოდა მისთვის.. სესიებზე ზოგჯერ ისეთ რამეს მეუბნებიან, რაც მე არ მითქვამს. თურმე სადღაც, წიგნში ამოუკითხავთ..

სტუდენტსა და ლექტორს შორის დიალოგი უნდა შედგეს. ლექტორმა სტუდენტისთვის დრო არ უნდა დაზოგოს, ეს მისთვისაც სასარგებლოა. მე გამოვაქვეყნე რამდენიმე წიგნი და შემიძლია ვთქვა, რომ დიდი წილი ამაში სტუდენტებს ეკუთვნით.. ჩემს ლექციებს მათთან ვამოწმებ, უფლებას ვაძლევ სტუდენტებს, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ ჩემი თითოეული წინადადება.. თავისუფლება პროფესორს! თავისუფლებება სტუდენტს! ყველაზე უფრო არსებითად ეს მიმაჩნია რეფორმაში და არა რაღაც გარეგანი, თვალში საცემი პროცედურები. სამწუხაროდ, იქამდე, რაც მე ვთქვი, ჯერ კიდევ ბევრი გზაა გასავლელი.

– როგორია თქვენი აზრი უნივერსიტეტის ეზოში ეკლესიის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ? არსებობს მოსაზრება, რომ მეცნიერების ტაძარს (კერას) ასეთი "ფონი" არ სჭირდება..

– უნივერსიტეტში იყო ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლებს კონფესიური სასწავლებელი არ შეუქმნიათ. მეტიც: მათ უარყვეს საღვთისმეტყველო ფაკულტეტის გახსნის იდეა. სამაგიეროდ, გახსნეს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. დღეს უნივერსიტეტში თეოლოგიის სპეციალობა არსებობს. აქ მოღვაწე ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ უნივერსიტეტის დამაარსებლების სიფრთხილე, რათა ამ სპეციალობამ კონფესიური დატვირთვა არ მიიღოს. როგორც ყველა ცივილიზებულ უნივერსიტეტში, ობიექტურად, ღრმად უნდა ისწავლეოდეს

ყველა რელიგიური მიმდინარეობა, ყველა კონფესია. არც ერთ ლექტორს არ უნდა შეეშინდეს, რომ ყველა კონფესიაში აღმოაჩინოს რაღაც პოზიტიური, რა ციონალური.. ლექცია ქადაგებას არ უნდა დაემსგავსოს. რაც შეეხება ეკლესიას, ის არსებობს იმ სტუდენტებისატვის, საერთოს, იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეკლესიაში სიარული სურთ. ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, რომ ეკლესიაში იარონ. ამ მოთხოვნილებას ხელი არ უნდა შევუშალოთ, მით უფრო, რომ უნივერსიტეტში ასეთი ტრადიცია არსებობს (ეკლესია თავიდან უნივერსიტეტის შენობაში იყო, შემდეგ იქ პარტკომი გახსნეს).

– ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტი შემოღობეს. ამან არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. როგორია თქვენი რეაქცია?

– უნივერსიტეტის შემოღობვა ძალიან მომწონს. მე რომ შემოვედი უნივერსიტეტში. იგი შემოღობილი იყო, ძველ ფოტოებზეც ასეა აღბეჭდილი. ამას სხვა – ტრანსცენდენტური დატვირთვაც აქვს: თუ აქ სხვა პროცესი მიდის, ვიდრე ქუჩაში ან ოჯახში, თუ უნივერსიტეტი გამოირჩევა დანარჩენი სამყაროდან, ეს სივრცის შემოზღუდვაშიც უნდა გამოიხატოს. უნივერსიტეტის ტერიტორია პრივილეგირებული უნდა გახდეს. ამ ტერიტორიაზე ყოფნის უფლებამოპოვებულმა ადამიანებმა – სტუდენტებმა და ლექტორებმა – თავიანთი უპირატესობა უნდა იგრძნონ. ჩემს წარმოდგენაში ღობე, რომელიც თავისთავად ძალიან ლამაზია, უნივერსიტეტის ავტორიტეტს უსვამს ხაზს. თუ ადამიანი საკუთარ სახლს ღობეს შემოავლებს, უნივერსიტეტს რატომ არ შეიძლება ზღუდე ჰქონდეს?! მეტიც: უნივერსიტეტს თავისი, საკუთარი, დაცვა უნდა ჰყაცდეს. დაცვის წევრები ყველა პროფესორს უნდა იცნობდნენ. არ შეიძლება, უნივერსიტეტს ქუჩის პოლიცია იცავდეს. ადრე პოლიციას ეკრძალებოდა უნივერსიტეტის ეზოში შესვლა. ამასწინათ უნივერსიტეტს პრეზიდენტი ესტუმრა. მე მესმის, რომ მისი უსაფრთხოება უნდა დაიცვან, მაგრამ ისე, როგორი ხერხებითაც ეს გაკეთდა, აბსოლუტურად შეურაცხმყოფელია. უნივერსიტეტში შესულს, ყველგან მდევდა პოლიციელის თვალი, რომელიც არ გენდობა, რომლისთვისაც სრულიად უცხო ხარ..

– იქნებ ღობემ უნივერსიტეტი პოლიტიკისგანაც უნდა შემოიზღუდოს? ბოლო წლებში ის ხომ საოცრად პოლიტიზირებული გახდა. ზოგი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას უნივერსიტეტის მოვალეობადაც მიიჩნევს..

– უნივერსიტეტის საქმე პოლიტიკა არ არის. ჩვენ არაერთგზის გამოვაცხადეთ, რომ უნივერსიტეტს ეს ტვირთი უნდა მოეხსნას. აქ არ შეიძლება, იყოს პარტიული უჯრედები. მაგრამ ზოგჯერ დგება ისეთი მომენტები, როდესაც საქმე ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი იღებს ინიციატივას, აქტიურად ერთვება სოციალურ ცხოვრებაში. ეს უმართავი პროცესია, სპონტანური. ამას პოლიტიზირებას ვერ დავარქმევთ, რადგან ეს არ არის უნივერსიტეტის ყოველდღიურობა, მისი კონსტიტუციური, წესდებაში დაფიქსირებული ნორმა.

უნივერსიტეტს ახსოვს გამორჩეული ამბოხის პერიოდები, რომლებმაც ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემა სასიკეთოდ გადაჭრეს. თავად ივანე ჯავახიშვილმა მოუწოდა სტუდენტებს ბრძოლისაკენ, როდესაც ამის აუცილებლობა დაინახა..

ესაუბრა იაგო კაჭკაჭიშვილი
"ახალი 7 დღე", 29 მაისი - 4 ივნისი, .. წ.